ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა
იაკობ ცურტაველი №5



თბილისი

2018, იანვარი

ცურტაველის ქ. №5 ისტორიული ხარფუხის ტერიტორიაზე, დღევანდელი ძველი თბილისის გამგეობის იურისდიქციას განეკუთვნება. ეს ადგილები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მკაცრი ზონის ფარგლებშია მოქცეული.

ხარფუხი შუასაუკუნეებრივი თბილისის მიმდებარე სოფელია, რომელიც XIX ს-დან უკვე ქალაქის ფარგლებში შემოდის და თბილისის ერთ-ერთი უბნის სახეს იძენს.



ხარფუხი და აბანოთუბანი ქალაქ თბილისის უძველესი უბანებია. ქალაქი ამ მიდამოებში ჩაისახა, მეტეხის პლატოს მოპირდაპირე მხარეს, იქ სადაც წავკისის წყალი უერთდებოდა მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირს. შუა საუკუნეებში წავკისის ღრმა ხევის გასწვრივ შემოზღუდული იყო თბილისის (ნარიყალას) ქვედა გალავანი. გალავნით შემოზღუდულ თბილისის ამ ნაწილს, XVIII ს-ში „ციხე დაბალი“ ეწოდებოდა (იხ. ვახუშტი ბატონიშვილის გეგმა – 1735წ.), წავკისის ხევს კი – დაბახანა. აქ, ხევის მარჯვენა ნაპირზე განფენილი იყო გოგირდიანი აბანოების უბანი – საკუთრივ „ტფილისი“. ამ უბანს მთლიანად სეიდაბადსაც უწოდებდნენ, XVII ს-ში როსტომ მეფის დროს აქ გადმოსახლებული სპარსელების – სეიდების გამო. XIX ს-დან ეს მიდამოები ხარფუხად მოიხსენიება.

XIX ს-ის დასაწყისამდე „ქვედა გალავნის“ დამრეც ფერდობებზე ბანიანი სახლები იყო შეფენილი. შემდეგ როცა მოშალეს ნარიყალას ქვედა გალავანი (XIX ს-ის 30-იანი წწ.), ქალაქის მმართველობის მოთხოვნით უკვე აუცილებელი გახდა სახლების მშენებლობისთვის პროექტების შედგენა. XIX ს-ის თბილისის გეგმებზე ნათლად ჩანს, თუ როგორ ყალიბდებოდა უბნის ქუჩების და განაშენიანების სტრუქტურა.



აბანოების უბანსა და ორთაჭალას შორის, თაბორის მთის ძირში, XVIII -XIX სს-ების მიჯნაზე პატარა სოფელი ხარფუხი წარმოიშვა. ადრე სეიდაბადად წოდებულ უბანსაც XIX ს-ოდან ხარფუხი ეწოდა. XIX ს-ის დასაწყისში სოფელში დასახლდნენ ლეკების მიერ დარბეული სოფელ წალასყურიდან გადმოხიზნული გლეხები. 1811 წ. ხარფუხი თბილისის მაზრას მიაწერეს. 1819 წ. სამოქალაქო გუბერნატორმა ხოვენმა ოფიციალურად სთხოვა მთავარმართებელ გენერალ ერმოლოვს ხარფუხის თბილისთან შემოერთება. იგი ერმოლოვს ატყობინებდა, რომ ხარფუხში თავშესაფარს პოულობდნენ ბოროტმოქმედნი, სხვასახვა ჯურის უპასპორტო, საეჭვო ხალხი და საქონლით დატვირთული კონტრაბანდისტები. საზღვარგერეთიდან გადმოსულ კონტრაბანდისტებს თვით ხოვენი წასწყდომია. ერმილოვი დაეთანხმა ხოვენის წარდგენას და მისი 1819 წლის 15 მარტის ბრძანებით, ხარფუხი ოფიციალურად თბილისის ნაწილად იქცა ამ დროისათვის ხარფუხის მოსახლეობა სულ 33 კომლს (143 კაცს) შეადგენდა. მიუხედავად ოფიციალური აქტისა, რამდენიმე ათეული წელი ხარფუხი სოფლად რჩებოდა და მხოლოდ გასული საუკუნის 60-ან წლებში მკვიდრდება ცხოვრების ქალაქური წესი და სათანადო განაშენიანება.



თბილისის გეგმა 1902წ. - ხარფუხი



თბილისის გეგმა 1924წ. ხარფუხი

უბნის ურბანული სახის ჩამოყალიბებაში გეოგრაფიულ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ქუჩათა ქსელის ფორმირებას აქ განაპირობებდა არსებული რელიეფი – თაბორის მთისა და სოლოლაკის ქედის დამრეცი ფერდობები და მათი გამყოფი ხეობა. განაშენიანების ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ხვადასხვა მხარეს მიმართული გზები – აქ, წავკისის წყლის ხიდთან მდებარეობდა ქვედა გალავნის კარიბჭე და იწყებოდა ე.წ. განჯის გზა. აქვე იყო საბაჟო. უბნის სამხრეთ-დასავლეთ, ზედა ხრამიანმა ნაწილმა განაპირობა ქუჩათა უსწორმასწორო ქსელი, მტკვრისპირა დაბლობისკენ კი ქსელი მეტნაკლებად მოწესრიგებულია.



უბნის ფუნქციურ დატვირთვას ძირითადად განაპირობებდა გოგირდის აბანოთა სიმრავლე, ხელოსანთა რიგები და სავაჭრო ბაზარ-მოედნები. უბნის სოციალური სტრუქტურა და ფუნქციური დატვირთვა აქ პრაქტიკულად უცვლელია XIX ს-ის ბოლომდე და სოციალური დაკვეთა, გეოგრაფიულ ფაქტორთან ერთად, აქაც გარკვეულად განაპირობებდა ქუჩათა სტრუქტურას და ნაგებობათა გარეგან სახეს, რაც აისახებოდა ნაგებობათა ხასიათსა და ხარისხზე.

ამ დროისთვის ხარფუხი – ბანიანი სახლების ქაოტურ განაშენიანებას წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც ქალაქის მმართველობის მოთხოვნით უკვე აუცილებელი ხდება სახლების მშენებლობისთვის პროექტების შედგენა (XIX ს-ის 30-იანი წწ.), გარკვეულწილად იწყება უბნის ურბანული განაშენიანების მოწესრიგება, თუმცა უბანს ეს ტენდენცია მხოლოდ XIX ს-ის ბოლოსთვის დაეტყო.

ამ უბანში ეთნიკურად თათარი მოსახლეობის სასაფლაოს მცირე ნაგები კედელი თუ საკულტო დანიშნულების ქვა იდგა ხატითურთ. თბილისელების რწმენით, ამ ხატს სურდოს განკურნება შეეძლო და მასთან სურდოშეყრილი ბავშვები მიჰყავდათ. იოსებ გრიშაშვილი წერდა: „ხარფუხი (ანუ ხარბუხი) - ძველებურ სომხურ ენაზე სურდოს ნიშნავს. მართლაც, ხარფუხის თავზე სოფელ შინდისის გზის დასაწყისში, კლდის ქიმზე, დღესაც მოჩანს პაწაწინა ნანგრევები, რომელსაც „სურდოს ხატს“ უწოდებენ. სურდოიანი პაციენტი ეხლაც ესტუმრება ხოლმე ამ ხატს. ამ ხატს მოუტანს ხოლმე საყმაწვილო ჭინჭილებს, მიამტვრევს ხატის წინაშე და ვითომ ამით სურდო იკურნება ხოლმე“.

ცურტაველის ქუჩის სიახლოვეს შემაღლებულ ადგილზე დგას აგურით ნაგები და მოლურჯო შორენკეცით დახურული გუმბათიანი წმ. ნიკოლოზის ბერძნული ეკლესია, რომელიც 1853 წელს არის აშენებული.



XX ს-ის II ნახ-ში მტკვრის სანაპიროების და მიმდებარე უბნების მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურული ცვლილებები ამ მონაკვეთსაც შეეხო. მოხდა წვრილი ურბანული სტრუქტურების ერთგვარი „გამოხშირვა“ და ფართო სივრცითი არეების შექმნა. ხარფუხის არქიტექტურული ხედი გაიხსნა და გაშლილი პლანით წარმოჩინდა. ამასთან, მიკროუბნის ქსოვილში რამდენიმე უხეში ჩარევა მოხდა. ბორცვზე შეფენილი ტერასული განაშენიანების ფონზე მკვეთრად გამოჩნდა ახლადაშენებული კორპუსების ვერტიკალები, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ამ განაშენიანების და რელიეფისთვის ამგვარი არქიტექტურული გადაწყვეტის

შეუსაბამობაში. ხარფუხის დამაგვირგვინებელ თაბორის მთაზე უკანასკნელ წლებში აშენდა ჯვარგუმბათიანი ტაძარი, რამაც ახალი არქიტექტურული აქცენტი გააჩინა ხარფუხის განაშენიანების თავზე.





უკანასკნელ პერიოდში ხარფუხის ტერიტორიაზე მიმდინარე ბინათმშენებლობა მნიშვნელოვნად გამსხვილდა და უბნის რელიეფზე შეფენილობის პრინციპი ერთგვარად დაირღვა. აღნიშნული ტერიტორიის სიახლოვეს ხუთსართულიანი მსხვილი მოცულობები გაჩნდა, რომელთა სიმაღლე ცურტაველის ქუჩის ზევით ვითარდება და ირგვლივ არსებულ ისტორიულ მასშტაბს არღვევს. ასევე პრობლემურია ხარფუხისა და ზოგადად ძველი თბილისის ამ უბნებისთვის ერთიანი, დაუნაწევრებელი მოცულობების ჩასმა დაქუცმაცებული განაშენიანების მორფოლოგიის კონტექსტში.



იაკობ ცურტაველის ქ. №3 და №7-ს შორის მოქცეული მიწის ნაკვეთი №5, ამჟამად დაუმთავრებელი რკინა-ბეტონის კარკასით არის შევსებული. მასშტაბური მშენებლობა მრავალი წელია დაუმთავრებელი დგას და არღვევს ისტორიული უბნის განაშენიანების იერსახეს.



საკვლევი ობიექტის მიმდებარედ, ღირებული ისტორიული განაშენიანება არ არსებობს. რულარული ტიპის კერძო სახლების რიგი, ნელ-ნელა ადგილს უთმობს უფრო მსხვილ, მრავალბინიან საცხოვრებლებს ან ბუტიკის ტიპის სასტუმროებს. მიკროუბანი საინტერესოა ტურისტული პოტენციალის განვითარების მხრივ, რადგანაც შემაღლებული რელიეფის გამო, ამ უბნიდან ვრცელი ხედები იშლება ქალაქის ისტორიული ცენტრის მიმართულებით. ასევე აღქმადია ეს ტერიტორიები ქალაქიდან შორ ხედებზე.





დასკვნა-რეკომენდაცია

იაკობ ცურტაველის ქუჩის საკვლევი მონაკვეთის შევსება ახალი მოცულობით, მნიშვნელოვანია ქალაქის ამ მიკროუბანში დაუმთავრებელი მშენებლობის ჩანაცვლების მხრივ. ამასთან, ახალი პროექტისათვის სასურველია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- ვინაიდან ცურტაველის ქუჩის აღნიშნული მონაკვეთის მიმდებარედ ღირებული ისტორიული განაშენიანება და ძეგლები არ არსებობს, შესაძლებლად მიმაჩნია ნაგებობის მასშტაბი მიესადაგოს მიმდებარე ახალმშენებლობების სიმაღლეს და არ გადააჭარბოს მათ;
- მნიშვნელოვანია შენობის ფასადების დიფერენცირება ფაქტურისა და ფორმის მხრივ. ერთგვაროვანი, დაუნაწევრებელი ფორმები ქალაქის ამ უბნისთვის დამახასიათებელი არ არის;
- სასურველია ნაგებობის არქიტექტურაში შეთავსებული იყოს დახურული და ღია სივრცითი ელემენტები ისე, როგორც ეს ძველი თბილისისთვის არის დამახასიათებელი;
- შენობის ფასადების მოსაპირკეთებელ მასალად სასურველია აგურის, ხის, ან მათთან მისადაგებული თანამედროვე მასალების გამოყენება. მოცულობას არ უნდა ჰქონდეს ფსევდოისტორიული იერსახე, თუმცა მკვეთრად თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალების (მინის) გამოყენებაც სასურველად არ მიმაჩნია;
- მნიშვნელოვანია შენობის გადახურვის ფორმა და ფაქტურა მიესადაგოს სახურავების ტრადიციულ ფორმას და ფერს, კერძოდ; ერთიანი, დაუნაწევრებელი გადახურვა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი